



საქართველო

ფანი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., კვარტალურად 4 მ., ცალკე ნუმერით 2 მ. დასა-
ბამით 7 მ. წლიური ხელის მომწოდებლის
ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის
მოწოდების დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი
პირველ გვერდზე პეტრიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე
10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ
განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტრიტ ტექსტის წინ
20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების და-
ბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ.
2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 163 ყოველდღიური საკომუნიკაციო და სალიტერატურო გაზეთი № 163

ტელეფონი
№ 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივე ტბილია ძმობილა, მიჩვენის ორსავე თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი
№ 76.

მეუღლე ელისაბედ (ბუბა), შვილები: ბეგანი, ლეო და თა-
მარი; ძმა მღვდ. ლუკა; დები: ეფთა და ბაბილინა; რძლები:
ნატაშა, ანტონინა და სალომე; შვილიშვილები: ზუზანიკა,
დარეჯანი და არჩილი; სიძეები: ნესტორ ელიაძე, ვარლამ
იმნაძე და მასიკო არბელაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა
და ნაცნობთ, რომ კვირას, 30 აგვისტოს, ოზურგეთში გა-
დახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვილი
ვასილ სოფრომის ძის ხუნდაძის
სულის მოსახსენებლით, 2-1

ექტრინე დიმიტრის ასული აბდუშელიშვილისა და სოფია დიმიტ-
რის ასული ჩხატარაიშვილისა—აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა,
რომ 29 აგვისტოს 12 საათზე, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გა-
დახდილი იქნება 9 დღის პანაშვილი მათის დას
ანასტასია დიმიტრის ასულის ვასილის
სულისათვის—მეღმთავე მონაწილეობა—984.

გაცხადებ მკითხის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის
20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა
ფანსაყველებსა და საბალანსარიო საყონღისა.
როგორც ფანსაყვე 50%-დან 75%-დამ დაკლებულია.
თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ექიმი ბ. დ. ნასარიძე შინაგანი,
ნერვებისა და ზავების სე-
ულებით ავთომოფობის იღებს დილის 8
—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ.
თბილისის ქუჩა, ქუთაისის უფთავი
ქაჯაქის თავის დ. ა. ღორთქიფანიძის
სახლი. თვ.

ექიმი ი. ჩაბარაძე ქალაქ. საავთ-
მყოფოს ორდინატორი. განაბ-
ლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავთ-
მყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12
—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი:
ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

ვახრანელ იოსების ძე
ექიმი გოკიძის
ელეატრონიკა და სინათლის კაბინები.
შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავთ-
მყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ.
6—8 საათ.

აღუქსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.
დოქტორი მედიცინისა,
პრიატ-დოქტორი
ვარლამ პავლეს ძე მოსაშვილი
8 მაისიდან მიიღებს ავთომოფობის
დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 2
საათამდე და ნაშუადღევს 3 საათი-
დან საღამოს 8 საათამდე.
გომშიტლის ქუჩა, ჯმოსეშვილის სახლი,
საზინის პირდაპირ № 6. თ.

**მასაშით სამ-
კურნალო კაბინეთი**
მარ. ბალანჩივაძისა.
გუგურნავ მასაშით, სააქიმო ვარჯიშობით,
ესპობ სახეზე: მუწუყებს, ნაოჭებს, ქორფლს
მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველ-
გვარ სახის ავთომოფობას. ამასთან ვუტრი
ყვავილსაც და ავრთვე **ნამდვილად ვარ-
ჩან** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტრის
ახალი გამოსული წამლის საშუალებით.
ქეტრის მოსაპობის შემდეგ თმა სრულიად
აღარ სცივდება და იღებს სასიამოვნო
ფერსა და სიბრძოლეს. ავთომოფობის მიღება
დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამ-
დე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამარ-
თი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის
სახლი. თ.

კერძო ექიმი მისაილ
კაპოია
კურნავს უფველგვარ თავის ტკივილის
ავთომოფობის დებულებას დილის 7 საათ.
მისამართი: მესამე აღუქსანდრეს ქუჩა,
პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი ჯავ. კაშაისი
თვ.

ბებია მ. მ. კოხრიძე
უც რის ყვავილს, უკე-
თებს ნემსებს, ეხმარება
მშობიარეთ და აძლევს ავთომოფობ
რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
აღუქსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა,
ფილიპოვის მალაზიის პირდაპირ.

ელექტრო „კადიში“ თეატრი
კვირიდან, 30 აგვისტოდან დიდი ფართო პროგრამა.
სახელმწიფო სათათბიროს დამუშავებისა და მიწისბრუნვის კრება.
სამამულიშვილო ომის ისტორიული წლის თავი 19 აგვისტო 1915 წ.
II.
ნაჩვენები იქნება ამერიკული კოლოსალური სურათი:
მილიონების გიზნოზის გავლენის ქვეშ.
15 ათას მეტრის ზომის ლენტი.

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში
გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,
სადაც მოგზადებიან ბავშვი ყველა დაბალ და საშუალო
სასწავლებლისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციული-
თვისა და სს.
ფასი ოცი მანეთიდან წელიწადში. **სტუდენტი ვარლამ ფერაძე.**
14-4-963

ალთა ოთხკლასიანი პროგინაზია უფლებამ მოკრეზული
მ. გ. კვინიხიძის
(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).
აგვისტოს, რომ მისაღები ბავშვები ყველა კლასში დაიწყება 18
აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგინაზიას აქვს აზრთვე საან-
ბანო განყოფილება, სადაც მიიღებან სრულიად მოსამზადებელი
ბავშვები.

ანდა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა და
ელისაბედ ლუარსაბის ასული მამარიაშვილი
მომავალი ენკენისთოდან, გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის
ბაღრძის სახლში ხსნის

**ქალ-ვაჟთა მოსამზა-
დემელ სკოლას საბავშვო ბაღით.**
სწავლის ფასი თვეში 10 მ.
ბავშვების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. 6-7

**გამოვიდა და იყიდება მთავრობის წიგნის მალა-
ზიაში ქართული წიგნი:**
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,
შედგენილი ს. რ. გორბაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი
მისაღები გამოცდები
დაიწყება 10 ანკენისთვიდან. 3-1

ქ. ქუთაისი.
ექიმი ქალი უნეჯის უნივერსიტეტის
დოქტორი მედიცინისა
დ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ღებულობა შინაგან და ქალთა ავთომოფობით
სწავლებს დილის 9—12 საათ. ღ საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) აღანაიას სახლები.
თვ. 975

ახლათ ჩამოსული რუსი ძალი
მასწავლებელი, ამზადებს ფრან-
გულ და ნემივტრ ნემივტრ მოწა-
ფეებს; სურს იმასწავლებლოს ოჯახში.
მისამართი: თბილ. ქუჩა, ს. ოგანეს.
ბინაჭახნედიძისა.

აფთიაქი კორბოლის
საჩქაროთ იცე-
მა იჯარით.
პასუხისათვის მარკა.
ხობში, ოგანესოვის, 3-3-967

**შვალენი ჩამკრიპტი გომეზუ-
ლი დიდი მთავრის ნიკოლოზ**
ნიკოლოზის ძის სახელზე.

პეტროგრადი. 26 აგვისტო.
ოფიციალური. უმაღლესი რესკრიპ-
ტი მიცემული მთავარსარდლის მისი
იმპერატორობითი უმაღლესობის
დიდი თავადის ნიკოლოზ ნი-
კოლოზისძის სახელზე: თქვენო იმ-
პერატორობითი უმაღლესობავ
საომარ მოქმედებთა დაწყებისას
საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის
მიზნებზე არ მომცეს საშუალება
ამესრულებთა ჩემი სულიერი მის-
წრაფება და მაშინვე პირადათ
დამდგარიყავი არმიის სათავეში,
რისთვისაც მთელი ხმელეთი-
სა და საზღვაო ძალების მთა-
ვარ სარდლობა დავაკისრე თქვენ იმ-
პერატორობით უმაღლესობას.
მთელი რუსეთის თვალწინ თქვენმა
იმპერატორობითი უმაღლესობამ
გამოიჩინა შეურყეველი სიმამა-
ცე; რის გამოც თქვენ სახელს ყო-
ველ მოსალოდნელ გასაჭირში საო-
მარი გამარჯვების დროს, მუდამ თან
ახლდა ღრმა ნდობა და ლოცვა ჩე-
მი და მთელი რუსეთის ხალხისა. მა-
ლიდან მომადლებულ სამშობლო-
სადმი სამეფო სამსახურის დრო მი-
ბრძანებს მე, როდესაც იმპერიის სა-
ზღვრებში შამოიჭრა მტერი მივი-
ლო ჩემს თავზე ხელმძღვანელობა
მოქმედ ჯარებისა და მასთან ერ-
თად გადავარჩინო რუსეთი მტრის
პოროტ განზრახვისგან, განგება
ღვთისა შეუცნობელია, მაგრამ ჩემი
მოვალეობა და სურვილი მამარე-
ბენ სახელმწიფოს სასარგებლოთ.
მტრის გაძლიერებული შემოსვლა
დას. ფრონტ. ყველაზე მალა აყენებს
მქიდრო შეკავშირებას სამხედრო და
სამოქალაქო ძალებისას, აგრეთვე გა-
ერთიანებულ ხელმძღვანელობას სახე-
ლმწიფოს მართველობის ყველა დარ-
გისას, რაიც ჩვენ ყურადღებას აშო-
რებს დასავლეთის ფრონტს. საჭიროთ
ვსთვლით რა შექმნილი მდგომარეო-
თვ. 975

ბის დროს თქვენს დახმარებასა და რჩევას დასავლეთ ფრონტზე, ვნიშნავ თქვენ იმპერატორებით უმაღლესობას ჩემს მოადგილეთ კავკასიაში და სახელმწიფო კავკასიის ჯარის მთავარ-სარდალთ. გამოვსთქვამ რა თქვენდამა ჩემსა და სამშობლოს ღრმა მადლობას, ვიყუარებ თქვენდამი კეთილ განწყობილი.

დღედაღამ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელით აწერია: ნიკოლოზი.

ოფიციალური

ბრძანება არმიისა და ფლოტის მხარეთ 23 აგვისტოს 1915 წ.

ამ რიცხვიდან მივიღე ჩემს თავზე წინამძღოლობა მთელი ხმელეთისა და ზღვის ძალთა და აგრეთვე შეიარაღებულ ძალთა, რომელიც იყუარება სამხედრო მოქმედების ასპარეზზე. ღრმა რწმენით ღვთის მოწყალეობაში და შეურყეველი რწმენებით საბოლოო გამარჯვებისადმი, აღვასრულებთ ჩვენს წმინდა მოვალეობას სამშობლოს დასაცავად და არ შეურაცხყოფთ რუსეთის მიწას.

ნამდვილზე მისი უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერია ნიკოლოზი.

ბრძანება უმაღლესი მთავარ სარდალსა 23 აგვისტოდან 1915 წ.

დღეს თქვენს შეთაურათ, ძლევამოსილი არმია და ფლოტო, სდგას თვით უმაღლესი ბელადი თვითმპყრობელი ხელმწიფე იმპერატორი. თავყანს ვცემ რა თქვენს სიგმირეს, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ერთი წლის განმავლობაში, გიგანით ჩემს გულითადად მხურვალე მადლობას. მტკიცეთ მრწამს, რომ თვით ხელმწიფე, რომელთანაც თქვენ შეფიცული ხართ, გიწინამძღვრებს თქვენ, და თქვენც გამოიჩინეთ ახალს

დღემდე უხილავს სიგმირეს. და დღეიდან უფალი მოუკლენს თავის მირონცხებულს თავის დაუძლეველ მფარველობას და მიანიჭებს მტერზე გამარჯვებას.

ხელს აწერს გენ. ადიუტ. ნიკოლოზი.

ო პ ი

(პეტ. დებ. სააგენტოსაგან)

პეტროგრადი. 25 აგვისტო. ოფიციალური. რიგის რაიონში ცვლილება არ მომხდარა. ფრიდრიხ-შტადტიდან სპხრეთით 24 აგვისტოს დამიდან დაიწყო მტრის ენერგიული იერიშები მდ. ლიუცზე. დამის იერიშები ჩვენ მიერ მოგერიებული იქნა. დინსკისა და სვენცი-ნიდან მიმავალი გზების მიმართულენით დასავლეთით არსებითი ცვლილება არ მომხდარა. სვენცისა და ვილიას შუა, აგრედვე ვილიასა და ნემანის შუა მდომარეობა უცვლელია 24 აგვისტოს დღისით გერმანელების იერიშები დაბა ორანის წინააღმდეგ და მერე ჩანკის ქვედა მიმდინარეობაზე მოვიგერიეთ. შუა ნემანზე მტერი 23 და 24 აგვისტოს განმავლობაში განაგრძობდა თავის მოქმედების განვითარებას გროდნოდან დაწყებული აღმოსავლეთისა და სანხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულენით და შემდეგ სამხრეთით. 24 აგვისტოს დღიდან ჩვენს უკანა რაზმებს მოუხდათ სასტიკ ბრძოლებში მონაწილეობის მიღება ვოლკოვსკის რაიონში და სამხრეთით მთელ პირზე პრუენი-სლონიმის პირზე. ისეღღისა და პინას შუა, ხომსკიდრომიჩინის პირზე ბრძოლის შემდეგ ჩვენ თავს ვუკავებთ მტერს ახალ პოზიციებზე. დასახელებულ პირის აღმოსავლეთით კოველ-სამინას რკინის გზის რაიონში ჩვენი ცხენოსანი რაზმი კარგად მო-

ქმედებდა მტრის წინააღმდეგ, რამდენიმე საუცხოვო იერიში მიიტანა; ყველაზე კარგი იერიში იყო სოფ. ვოლოშისთან, კოველიაის რაიონში და დაბა კოლეისთან, რომელიც სტრიზე მდებარეობს. აქ ჩვენ ხელთ ვიგდეთ 3 აფიცერი და 150 ჯარისკაცი. ზედა სტრის მარჯვენა ნაპირას 24 აგვისტოს დღიდანვე სასტიკი ბრძოლა განვითარდა რაიონი-ლოვის რაიონში, მდ. სლონევკისა და ივას შუა. მტრის ძლიერი ძალების შემოტევის გამო, ჩვენ ჯარებს გზიდან უფრო მძლავრ პოზიციებზე გადასულიყვენ მდ. მორანზე, სტუბელსა და ივასზე. სერეტზე მტერმა მოქმედება განაცხადებდა და 24 აგვისტოს მრავალჯერ მოიტანა იერიშები ტარნოპოლის რაიონში.

ქრონიკა.

(უზრნალ-გაზეთებიდან).

უ ც ხ ი ე თ ი.

გალიციის ორი დეპუტატის დასახსნელათ.

ამას წინათ ავსტრიის სამხედრო სასამართლომ პარლამენტის ორ გალიციელ დეპუტატს—მარკოვს და კურტილოვიჩს რუსების ერაჯულებისთვის სიკვდილი მიუსჯა; ახლა ამის გამო საერთაშორისო საპარლამენტო რუსთა ჯგუფის თავჯდომარე პროგრესისტი ევრემოვი სხვა ერთა ჯგუფის თავჯდომარეებს დებუთ მიმართავს, რომ რაც შეიძლება საჩქაროთ მიღონ მათ შესაფერი ზომები, რათა შეწყალებულ იქმნან გალიციელი დეპუტატები და სიკვდილს გადაარჩინონ. (რ. ს.)

ჩინეთი და ოსი.

გაზ. „რეჩი“ სწერს: „ევროპის ომმა შორეულ ჩინეთს დაც დიდი

გავლენა იქონია: აზიის ახალმა რესპუბლიკამაც განვითარების ახალი მიმართულება მიიღო. ომის ახალმა ფაზისმა—ყველა ქვეყნების საკუთარ საწარმოვო ძალთა მობილიზაციამ—ჩინეთიც ეკონომიურათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე დააყენა.

ჩინეთის ასეთი მოძრაობა უმთავრესათ და უპირველესათ იაპონიის ულტიმატუმმა გამოიწვია, რამაც ქვეყანა ძირიანათ შეარყია და „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხი დაუყენა. მთავრობა დათმობის გზას დადგა, ხოლო ხალხს იაპონიის ვაჭრობას ჩინეთში ჩუმი ბოიკოტი გამოუცხადა; საქმე იქამდე მივიდა, რომ იაპონიის ვაჭრობა 42%—ით შემცირდა.

ამის შემდეგ ახალი ლოზუნგი გაისმა: განთავისუფლდით უცხოელთა ეკონომიური დამოკიდებულები-საგანო!

და მთელ ჩინეთში „ხსნის ფონის“ შედგენა იწყეს. „ფონის“ სასარგებლოთ სხვათა შორის ქ. ხარბინშიაც გამართეს აგიტაცია.

ერთ დღეს ცინის იმპერატორი ჩინელებით გაიქედა, რომელთა შორის ქალიც ბევრი იყო. ორატორებმა სააგიტაციო ამაღლებელი სიტყვები წარმოატყვეს. ერთმა მათგანმა აიღო ბიარალი, დანა და თავისი ხელის თითები გადაიჭრა და საკუთარი სისხლით თეთრ ქაღალდზე ყველას დასანახათ შემდეგი ახალი ლოზუნგი წააწერა: „არ დაიშუროთ ფული ჩინეთის ხსნის ფონის“ სასარგებლოთ, სამშობლოს დამცრებელი და შელახული თავმოყვარეობა გახსოვდეს!“

მარტო ამ საღამოს აქ 13,000 თუნამდე შეგროვდა; ასევე ბლო მათ შეიკრიბა ფული ყველგან მთელ ჩინეთში!.. (რ.)

გაფიცვა დიპლომატიის
ამას წინათ გაზეთში გამოქვეყნდა იყო: ინგლისში ქვეანხროს ხალხის მუშები გაიფიცნენო, ახლა ამის შესახებ ლონდონიდან დებუთ მოკლეთ იუწყებოან: მოპირდაპირე მხარეები მოარჩევსო.

ჩინეთის რესპუბლიკის დასახსნელი.

პეკინიდან გაზეთებს იუწყებენ, რომ ჩინეთის რესპუბლიკანური მართვა-გამგეობის მოსპობას კათხვა გადაწყვეტილათ უნდა ჩაითვალოს როგორც ირწმუნებოან, რესტრუირაცია,—ძველი წყობილების აღდგენა გაზაფხულამდე მოხდებოა: რესპუბლიკა კვლავ მონარქიათ გამოცხადდება და სამეფო ტახტზე იუანში-კაი ავაო. (რ. ს.)

რუსეთი.

ხურდა ფულის ნაქაზობა.

ამ ბოლო დროს ხურდა ფულის ნაკლებობა მოსკოვის მცხოვრებთაც იგრძენეს და ამის გამო პეტროგრადის მოქალაქეების მსგავსათ წვრილი ფულის შემანახვა ამათაც იწყეს. სახელმწიფო ბანკის განყოფილებას აუარებელი პირი მოაწყდა, რომლებიც ქალაქის ფულის ლითონის ფულზე დახურდავენას მოითხოვენ. პოლიციამ რამდენიმე ისეთი შემთხვევა აღმოაჩინა, რომელიც მოსკოვში ხურდა ფულის ნაკლებობისგან მოწყობილ სპეკულიაციის არსებობას ააშკარავებს.

გულშინ, მაგალითად, დღისით პოლიციამ ორი ახალგაზდა დააკავა, რომელთაც დიდძალი ხურდა ფული თან აღმოაჩნდათ.

თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ მოვლენას მოსკოველები ისე არ დაუშინებია, როგორც ეს პეტროგრადში ხდება.

მარტო ერთი დღის განმავლობაში სახელ. ბანკის კანტორამ ნახევარი მილიონი მან. ხურდა ფული გასცა. (დ.)

ბ-ნ სიმონ მუსხალის წიგნი.

ლ. ბოცვაძესა და ძველ პედაგოგს შორის ჩამოვარდნილობა კამათმა მთელს საქართველოს ამცნო, რომ ბ. სიმონ ოცხელმა შეადგინა, პირველსა და მეორე განყოფილებაში სახმარებელი, რუსული ენის სახელმძღვანელო. მე, როგორც ერთი წევრი იმ წმინდა ოჯახისა, რომელსაც ქართველი სახალხო მასწავლებლობა ეწოდება, მოვალედ ვრაც თავს მოკლედ გაუფიხარო ამხანაგ მასწავლებლებს ჩემი შეხედულება ამ ახალი წიგნის შესახებ.

ატეხილს დავაში ბ. ძველი პედაგოგი იწუნებს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს და იცავს ახლად გამოსულს ბ. ოცხელის წიგნს. ბ. ბოცვაძე ამის წინააღმდეგის დამტკიცებას ცდილობს და მოუხმობს სახალხო მასწავლებლებს-თავისი აზრი გამოსთქვან (იხ. გაზ. „სამშობლო“ №№ 79, 83, 90, 98 და 112). ნეტარხსენებული გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ ჩემი აზრით უკვე გავაცანი საზოგადოებას (იხ. „სამშობლო“ №№ 56 და 57) და აქ მისი გამეორება ზედმეტად მამაჩნია. ბ. ოცხელის ახალი მეთოდის

და ახალი სახელმძღვანელოს შესახებ ჩვენი შეხედულება ჯერ კდე მისში თვით ოცხელების მღაზიაში ვსთქვით რამდენიმე მასწავლებელმა და ახლა იძულებული ვარ, რომ სხვებთან ერთად თვით ბ. ბ. ძველმა პედაგოგმა და ოცხელმაც გაიგონ, საჯაროდ ვილაპარაკო.

„Новое слово“-ს წინასიტყვაობაში ბ. ოცხელი იმოწმებს მასწავლებლებს, რომ პირველ ხანებში ძალიან ძნელია რუ ულის სწავლება ჩვენს სკოლებში. როცა არითმეტიკული კრებული გამოდიოდა, მაშინ ამ სიძნელის დამოწმება გაზ. „იქერეთის“ რედაქციაში თვითონ მეცამხვდა წილად ბ. ოცხელის წინაშე, მაგრამ მაშინ ჩემთვის არავის უკითხავს მიზეზი სიძნელისა და მეც არაფერი მითქვამს; ახლა-ეი საქროა, აღვიაროთ, რომ ბ. ოცხელის აზრი, ვითომც მეთოდის და მასალის უქონლობით იყოს გამოწვეული ჩვენს სკოლებში მოუწყობილობა რუსული ენისა, მართალი არაა. გოგებაშვილის შემდეგ ჩვენ მეთოდი გვაქვს, მაგრამ მისი წესიერად მოხმარება ჯერაც ვერ შევსძელით. ვერ შევსძელით და რატომ? არა ანტიკომ, რომ სახელმძღვანელო წიგნი არ გვი-

ვარგოდეს (თუცა რამდენიმე დღის სიჭარბეა შესწორებას), არა იმიტომ, რომ მასალა არ იყოს ენის სწავლებისთვის, არამედ იმიტომ, რომ სახალხო სკოლაში რუსული ენის სწავლა შეუძლებელია და შეუფორებელს დროსაც იწყება მისი სწავლება. თუ როდის უნდა იწყებოდეს უცხო ენის სწავლება, ამის შესახებ ბევრი ითქვა (იხ. „სამშობლო“ № 149, 150) და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. აქ მხოლოდ ვკითხვებ. ოცხელს, მართლა მან გამოიგონა სწავლის ახალი მეთოდი-თარგმნითი და თვალსაჩინო მეთოდების შეერთება, როგორც თვითონ ლაპარაკობს, თუ სხვას ეკუთვნის მისი აღმოჩენა? ბ. ოცხელი მიგვითითებს ამის საპასუხოდ „Новое слово“-ს წინასიტყვაობაზე, სადაც სწერია: Составляю настоящий учебникъ, мы старались найти методъ, въ которомъ возможно было бы соединить достоинства какъ переводнаго, такъ и естественнаго методовъ обученія“. როგორც ვხედავთ, დიდი ენერგია დაუხარჯავს პატივცემულ პედაგოგს ახალი მეთოდის ძებნაში, მაგრამ, რომ გოგებაშვილის „Русское слово“-ს

წინასიტყვაობა გადაეთვლიერებია, იქ ნახავდა შემდეგს: „Книга наша чужда односторонности, столь вредной въ особенности въ педагогическомъ дѣлѣ, а опирается, съ одной стороны, на широкую наглядность, а съ другой—на содѣйствіе родной рѣчи“. ასე, რომ გოგებაშვილსაც თარგმნითი და თვალსაჩინო მეთოდები ერთად ჰქონია შეერთებული და მგონი, ამის საქროება ოცხელზე უმაღლესი აღიარა და, ეს თუ ასეა, მაშ ბ. ოცხელი ითვისებს სხვის საკუთრებას. დაკვეთ ქვევით: ბ. ოცხელი ლაპარაკობს:

„Смысль русской фразы и каждаго слова, входящаго въ нее, долженъ выясниться изъ содержания сообщаемаго на родномъ языкѣ разказа и соответствующаго рисунка. Въ необходимыхъ случаяхъ надо прибѣгать къ переводу“. ეს მოსახებული გოგებაშვილისაგან. ჩვენ ვიცით, რომ მისმა „დედა-ენა“-მ ბავშვებს, ქართულის შეთვისებასთან ერთად, რუსულის შესწავლა უნდა გაუადვილოს. ნათლად სჩანს, რომ

ქართულად გავლილი მოთხრობიდან მასწავლებელი ჰკრებს საჭირო სიტყვებს და ასწავლის რუსულად, რასაკვირველია, თვალსაჩინოდ. აქ ჩვენ ყოველთვის ნამდვილს საგნებს ვხედავთ, თუ შევსძელით შოვნა, ან და სურათებს ვიშველიებთ. აზრი და იდეა ბავშვებს შეთვისებული აქვთ ქართული ენის სწავლების დროს და რადგანაც მოთხრობებს და, აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე, მასალას ქართულის სწავლების დროს ვათვისებთ ბავშვებს, რუსულ სახელმძღვანელოში გავლილი მასალის ქართულადვე მოთავსება ზედმეტია. პედაგოგიური წრისათვის ბ. ოცხელს ახალი არაფერი არ მიუწოდებია. მისი მთავარი დებულებები დიდი ხნიდან ნაცნობი იყო ქართველი მასწავლებლისთვის. მან სთქვა—ჯერ გაიარეთ მოთხრობა ქართულად და შემდეგ გადადით, ამ მოთხრობიდან ამოღებული, სიტყვების რუსულად სწავლებაზე, ამავე დროს თვალსაჩინოთ ჰყავით გაკვეთილიო. ამას აქამდისაც ასე ვასრულებდით. ჯერ პირველად, ქართული ანბანის სწავლებამდის მოწაფეებთან მთელი თვე და ხშირად მეტიც ზეპირად ვსაუბრობთ, შემდეგ გადავდივართ

ომის აბები.

მინსკის გუბერნატორის მოწოდება.

მინსკის გუბერნატორი მცხოვრებთ მოუწოდებს დამშვიდდენ: იძულებითი გადასახლება არ მოხდება. რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მცხოვრებლები თავთავიანთ ადგილებში დარჩებიან და თავის მეურნეობასახლ-კარ-მიდამოს დაიცავენ.

(რ. ს.)

საიდან იხივება ხალხი?

კიევში მოდინ გადმოიხიზნულნი: ბროსკუროვიდან, ლუბნიდან, კოვნიდან, ხოტინიდან, კამენეც-პოდოლსკიდან და მინსკის გუბერნიის სხვადასხვა ქალაქიდან და დაბებნიდან.

(ქ. ს.)

ქალაქ კიევიდან გაზეთ „რის“ დებეშით აუწყებენ, რომ ქალაქის საბჭოს ქალაქის თავმა და მისმა ახმა ახმა ბრძოლის ველზე გენერალ ივანოვთან წასვლის საქიროების შესახებ მოხსენება გაუკეთეს... გენერალმა იხანი დაამშვიდა: დარწმუნა, რომ ქ. კიევის მტრის შემოსევის მხრით არავითარი საფრთხე არ მოელისო.

როგორია გერმანელთა მართვა გამგეობა ვარშავში?

ვარშავის გაზეთების გადმოცემით, ერთი გერმანული გაზეთი ასწერს, თუ როგორია ვარშავის მართვა-გამგეობის ახლანდელი ორგანიზაცია. გერმანიის მთავრობამ ვარშავის პრეზიდენტად თავადი ლიუბოშინსკი დანიშნა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქალაქის მთელი მართვა-გამგეობა და ამასთან სასამართლოც სულ ერთიანად „მოქალაქეთა კომიტეტის“ ხელში დარჩა; გერმანელები მხოლოდ უმაღლეს ზედამხედველობასა და კანტროლს უწევენ მათ. „მოქალაქეთა კომიტეტში“ ორი ებრაელიც არის არჩეული.

ქალაქის თვითმართველობა 11

კითხვებზე, ვათავებთ ანბანს, ვიწყებთ მოთხრობათა და ლექსების კითხვას. როცა საკმაოდ განვითარდებიან ყმა-წვილები, მივეყვებით რუსული სიტყვების სწავლებას იმ მეთოდით, რომელიც მოსწონს ბ. ოცხელს და ჩვენი აზრით, წამოაყენა იაკობ გოგებაშვილმა. ერთი სიტყვით, რაც ბ. ოცხელმა სთქვა გრძელი წინასიტყვაობით, ის დიდი ხანია გამოქვეყნებული ჰქონდა მოკლედ და სხარტად გოგებაშვილს, თუმცა ახალიც სთქვა ბ. ოცხელმა—ი, მაგალითად: „При прохождении статьи на грузинскомъ языкѣ, дѣти не должны видѣть рису. нки“. ამ ფრაზით იგი მთელი ქვეყნის ჰელაგოგებს ედავება და გვიჩვენებს, რომ თვალსაჩინო „გაკვეთილებისთვის დედა-ენის სწავლების დროს თავს ნუ შეიწყუბებ, ჯერ ზებირათ ასწავლეთ და მერე (უცხო ენის სწავლების დროს) იხმარეთ სურათები. ეს არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ პედაგოგიური გამოცდილების ნაყოფი უნდა იყოს! ერთი მიზნობანეთ, თქვენი ქირიმე, რამ ათქმევინა ისეთი ბროლის სიტყვები. თუ ბავშვის ენის საშუალებით შეიძლება ბავშვის განვითარება, თუ თვალსაჩინო გაკვეთილები აადვი-

სექციით არის დაყოფილი და სათავეში სდგას კომისია, რომელიც თავისი თავმჯდომარითურთ „მოქალაქეთა კომიტეტის“ წრიდან არის არჩეული.

სასამართლო დაწესებულებები 23 ივლისს თითქმის ყველა გახსნილი იყო. მომრეგებელი მოსამართლეები თვითონ „მოქალაქეთა კომიტეტმა“ დანიშნა. უმთავრეს სასამართლოს თავმჯდომარეთ ნაფიცი ვეჟილი ტიშკა დანიშნეს.

ბევრ სკოლაში ისევ მალე დაიწყებენ მეცადინეობას და საშკოლო აღმინისტრაცია მოქმედებს განახლებებს. ყველა ამ დაწესებულების ოფიციალურ ენათ პოლონური ენა იქნება.

სტამბოლი მიუღია განადგურ. ათინიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ ოსმალეთმა ხტამბოლის წინ მდებარე ჩატალჯის ციხე-სიმაგრე მიუღია განადგურა: ნემეც აფიცრების ხელმძღვანელობით სიმაგრეების მიდამოებზე მდინარიდან წყალი მიუშვეს და ამდინარით მთელი ეს სივრცე ერთს დიდ გაუფულ ქაობათ გადააქციეს.

(რ. ვ.)

ახალი ამბავი

სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩვენი თანამემამულე ვარდენ ლორთქიფანიძე ქუთაისში გამართავს საყურადღებო სალიტერატურულ და მუსიკალურ საღამოს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მწერლები და მომღერლები.

როგორც სოფელ ძუენურიდან გვატყობინებენ, 24 აგვისტოს ცეცხლს უწვებოდა დანიელ გაბრიადის სახლ-კარი და მთელი ქონება.

ლებენ სასწავლო საგნის შეთვისებს, რატომ ქართული მოთხრობების გავლის დროს არ უნდა იხმარებოდეს იგი? თუ „რუსულის გაკვეთილების სიტყვების ნიშან წყალს ძღვევენ სურათები, როგორც თვითონ ოცხელი ამბობს, ქართველს აწყენს სიტყვები? თუ მას ბ. ოცხელი საჭიროდ მართა სიტყვების შესათვისებლად სცნობს და არა შესაფერი ცოდნის მისაწოდებლად, თუ ასეა, მაშინ მე რა უნდა ვუთხრა იმისთანა ქართულს გვირს, რომელიც ერთი დაკვრით, ერთი კალმის მოსმით გაქრობას უპირებს თვალსაჩინო გაკვეთილების მამამთავრებს—რაბლებს, კომენსკის, რუსსოს, ბაზელდოს, პეტალოცის, დისტერვეგის, და სპენსერს. ღმერთმა მშვიდობა მისცეს! მე ერთი ქართველი სახალხო მასწავლებელი ვარ და, როგორც ასეთს, თუ ბ. ოცხელი საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის გამოჩენილს მოაზროვნებს დაამარცხებს, სიხარულის მეტი არა დამრჩენია—რა; მაგრამ ვეჭვობ, რომ მან ეს შესძლოს.

ნარქანი. (დასასრულია ზვალ.)

ჩვენი თანამშრომელი ნ. ქამუძე ხიდისთავიდან სოფელ ქორეთში გადაყავთ მასწავლებლათ.

ქ. შ. წ. კახვის გამავრცელებელ საზოგადოების უწყებაში არსებულ ქართულ სკოლებში ამჟამათ თავიუფალი ადგილებია, რადგანაც ყოფილი მასწავლებლები ომში გაიწვიეს. გამგეობა მათ აღვილზე ახალ მასწავლებლებს იწვევს.

როგორც გავიგეთ ამ მოკლე ხანში სოფ. ქვედა საქარაში (შორაპნის) აარსებენ უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს. სამკითხველოს გამომეწერება ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები, მიმართულების განურჩევლათ.

26 აგვისტოს, დილის 12 საათზე, კარლოვის დაღმართში, მოწაფეს ნიკოლოზ ბესარიონის ძე ხოჭოლავას უცაბედად რევოლვერი გაუვარდა, რომელთაც დაიჭრა მისი ამხანაგი გიორგი ტარასის ძე მალაძე.

ქალაქის გამგეობამ აცნობა ქალაქის საავთმყოფოს უფროსს ექიმს რომ თუ აღმოჩნდებიან ხოლერით ავთმყოფები და ან საექვეო ავთმყოფები გაგზავნონ გადაშლებ—სენინათა ძველ საავთმყოფოში—ორპირის ქუჩაზე.

26 აგვისტოს, ქალაქის საქმეთა საკრებულომ სიმონ ქვარიანის საჩივრები ქალაქის მოურავის წინა აღმდგე უყურადღებოთ დასტოვა.

ქუთაისის გუბერნატორი კამერლინკერი ლ. ვ. პოტულოვი შორაპნის მაზრიდან უკვე დაბრუნდა.

პროვინციის ცხოვრება.

ადგილ. შურნალ-გაზეთებიდან.

კასეთი. დღეს მთელს კახეთში 19 ამხანაგობაა, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ხალხს ამ საერთო გაჭირების დროს. ადგილი წარმოასადგენია, თუ რა გაჭირებაში ჩავარდებოდა კახეთის მშრომელი ხალხი, ეს ამხანაგობები, რომ არ შესწრებოდნენ. ადგილობრივმა ვაჭრებმა მოუსაველობის ალლო დროით აიღეს და შრომითვე შეუდგნენ თადარიგს: დაგზავნეს თავისი აგენტები სხვადასხვა ადგილს და სურთ მუქთად შეიძინონ პური მერე კი თვითონ ერთი სამათ მიყიდონ ვაჭირებულთ. ამხანაგობების მოვალეობაა ამას ანგარიში გაუწიონ და დროით შეიძინონ პური, რათა მცხოვრებთ ზოშიერ ფასებში მიაწოდონ.

სოფ. გეგუთა. (ენეკის მაზრა) ამ დღეებში ამ სოფელში, მთავრობის ნებართვით, სამკითხველო გახსნეს. პასუხის მგებელ გამგეთ მასწ. გრ. გემგანავა დანიშნა.

მდ. ტეხურამ, რომელიც ამ სოფელს გარს უფლის, ორი თვის განმავლობაში ხუთჯერ ააოხრა უანები. ხალხი შიმშილის მოლოდინში სასაწარკვეთილებებში ვარდებდა. საქარა დახმარება.

ს. ზანათა. (სამეგრელო). ეს სოფელი კულტურულათ ჩამორჩენილია. მართალია, ინტელიგენტთა რიცხვი აქ მცირეა, მაგრამ ვინც, არიან ისინიც ნაკლებათ იწუხებენ თავს ხალხის საყეთილდღეთათ.

მდ. აბაშამ ამ სოფლის ყანები განადგურა. ხალხი შიმშილობის მხრით დიდ გაჭირებას განიცდის. ამას ზედ დაერთო სანოვავის სიძვირე და ათასგვარი გადასახალი. კარგს ინებებს ადგილობრივი მღვდელი, თუ გაჭირებულ ხალხს დრამის ფულის გადახდისაგან მაინც გაათავისუფლებს, როგორც ეს სხვა მრევლის მღვდლებმა მოიმოქმედეს.

შავი-ზღვის ნაპირებზე.

ვინ არ იცის, თუ რა საძაგელ მდგომარეობაშია ჩვენი დაყენებული მიმოხველის საქმე; ბევრგან მელიტინკეთა და მათ დამქსმ-მიკიტანთა წყალობით საწყალი მგზავრი აუარებელ ხარჯში ვარდება ისე რომ ხშირათ უკაბაკოთ უზღებდა სახლში მისვლა!

საყურადღებო ფაქტით მიმაჩნია აღვნიშნა შავი-ზღვის ტუაპსე-სენაკისკენ მიმავალ გზა-ტყეცილი, რომელიც დღეს ზღვაოსნობის შეჩერებისა და ახალი რკინს გზის შენების გამო დიდ როლს თამაშობს მშრომელი ხალხისათვის. დილიტებისა და ეტლების და სხვათა მუშაობის საქმე მთელი სამასი ვერსის მანძილზე აღებული აქვს ვინმე ვ. ტყემელავის და, სიმართლე უნდა აღვიაროთ; ისე უყურადღებოთ და უწესოთ აქვს საქმე დაწყობილი, რომ თითოეული—ქუჩერი და კანდუქტორი კანდიერდება მგზავრებს, ბილეთის ფასის გარდა, რასაკვირველია, „ნაჩის“ სახით თითო ოროლა მანეთი გამოართვას! ამას უნდა დავეუმატოთ მედილიტინებისა და ქუჩრების ქეიფი, წამ-და უწუმ სამიკიტნობთან გაჩერება და ასეთ სიძვირის დროს—ტყავის გაძრობა. ასე რომ, საწყალი მუშა, რომელიც ბლომათაა ამჟამათ შავი-ზღვის რკინის გზაზე, ხშირათ იძულებული ხდება ფეხით გაიაროს საქირო მანძილი რათა როგორმე თავი დააღწიოს ქუჩრთა და მიკიტანთა თავგასულობას. საკვირველია, მთავრობასაც მოუძულეებია ეს ადგილი; არავინ კანტროლს არ უკეთებს, ყურადღებებს არ აქცევს!

დოუყანებლივ საქარა, ვისგანაც ჯერ არს, აილაგმოს მათი ულახათო მოქმედება, რათა საწყალ ხალხს საშუალება მიეცეს წესიერ მიმოხველისა.

იოლა.

აჭარლების დახმარება.

(წერილი ლეჩხუმიდან.) დღეს მთელი ჩვენი ხალხის ყურადღება,—კიდიით-კიდემდე საქართველოში, მიქცეულია აჭარელ ქართველ მამადიანთა, ამ ჩვენ ხორციითა და სისხლით ძმთა დასახმარებლოთ, მათ ნივთიერად და სულიერად აღსადგენად... და ამ საერთო საქმიანობას არც ლეჩხუმი ჩამორჩა. შაბათს, 8 აგვისტოს, დ. ლაილაში, ადგილობრივი ინტელიგენტის თაოსნობით და კნ. მარიამ გელოვანის დიასახლისობით გაიმართა აჭარელ ქართველთა სააგრებლოდ წარმოდგენა—საღამო. პროგრამა ამ საღამოსა საკმაოდ რთული და შინაარსიანი იყო. იგი შესდგებოდა ოთხი დიდი განყოფილებისაგან; პირველ

განყოფილებაში თ-დმა ლევან დაღველიანმა წაიკითხა „ქუჩრების“ მადიანთა ცხოვრებიდან საქარა და განსაკუთრებით აჭარულთა მდგომარეობიდან სრულიად დამაკმაყოფილებელი რეფერატი, რომელმაც მშვენიერის ქართულით, მოკლეთა და გასაგებათ გააცნო საზოგადოებას საშაპადიანო საქართველოს ისტორიული წარსული და აჭარლების აწინდელი მდგომარეობა. რეფერენტმა ხაზგასმით აღნიშნა მეთორმეტე საუკუნის დამლევადან დღემდე ქართველ წარჩინებულთა და უფლებიან პირთა მოქმედება და დამლუპველი ტაქტიკა.

თ-დმა დაღველიანმა თავის დასკვნებში ერთად ერთ მხსენლათ ჩვენის ქვეყნისა დემოკრატია აღიარა, რომელიც მიისწრაფვის და შესძლებს კიდევ შექმნას დემოკრატიული საქართველო და სხვა და სხვა. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა თ-დ. დაღველიანის რეფერატით და ამიტომაც იგი დააჯილდოვეს საერთო აღტაცებით. მეორე განყოფილებაში სააგარაკოდ მოსულ სტუდენტთა, ახალგაზღვართა და ქალიშვილების მიერ წარმოდგენილი იქნა პიესა ალ. ყაზბეგისა „არსენა“ სამ მოქმედებად. მიუხედავად ტეხნიკური დაბრკოლებისა, პიესა ჩინებულად ჩაატარეს და ანსამბლის გარეშე არავინ დარჩენილა. განსაკუთრებით კარგი იყვნენ ძმანი მგაფანაძეები (არსენა და თელა). მესამე განყოფილებაში ახალგაზღვართა და ბავშვების მიერ წაკითხულ იქნა ჩვენი გამოჩენილ მწერლების სხვადასხვა ლექსი და საოხუნჯო სცენები, რამაც მშვენიერად ჩაიარა და საზოგადოებაც დიდათ ნასიამოვნები დარჩა. მეოთხე განყოფილებაში საგანგებოდ წამოხადებულმა ქალ-ვაჟთა მომღერალმა გუნდმა მშვენიერად იმღერა რამოდენიმე სიმღერა. ქ-ონ. ზ. ნ. ხარაძის ასულმა ფორტაპიანზე ჩინებულად დაუკრა, და დასასრულ „ცანგალას“ ხაზე გაიშარათა ცეკვა-თამაში. ამ სანაქებო საღამოთი თითოეული დამსწრე დიდათ ნასიამოვნები დარჩა. ბოდიშს ვიხდი, რომ როგორც გარეშემ, არ ვიცი ვინაოზა ამ საღამოს მომწყობთა მოღვაწეთა და მუშაეთა, მაგრამ ჩემის აზრით, დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველანი,—ვინც ამ საღამოს გამართვაში მონაწილეობა მიიღეს და მით ხელი შეუწვევს ფრიალ სიმპატიურს მიზანს. ასეთი შინაარსიანი საღამოები არა თუ პროვინციებში, არამედ ჩვენს ცენტრალურ ქალაქებშიც ძვირად იმართება ხოლომე და მით უფრო პროვინციებში. ასეთი მიზანშეწონილი შინაარსიანი საღამოები რომ ხშირათ იმართებოდნენ, ერთი საუკეთესო თავდები იქნება ჩვენი ქვეყნის კულტურულათ წინსვლისა და განვითარებისა, საღამოს ხალხი საკმაოდ დაესწრო და როგორც გადმოცეს წმინდა შემოსავალი ას მანეთზე მეტი იქნებოდა.

უჩინარი დამსწრე. (დასასრულია იქნება.)

ეთნოგრაფიული საზოგადოების საკრებულო

დიდხნის მოლოდინის შემდეგ, გველირსა ზემოხსენებული ისტორიული საზოგადოების დაარსება ქუთაისში. რადგანაც ასეთი საზოგადოება უკვე დაარსდა, მეტი არ იქნება, რამე, როგორც წინააღმდეგობისა და ისტორიის მოყვარულს, ზოგი რომ საყურადღებო წინადადება მივსცე ხსენებულ საზოგადოებას, თვის სამოქმედოთ.

ერთი ასეთი წინადადებათაგანია არის ქუთაისში ქართული სამკითხველოს დაარსება, სადაც შეკრებილი იქნება ყველა ის წიგნი, რომელიც საქართველოს შესახებ ქართულს, რუსულს, სომხურს, ფრანგულსა და სხვა ენებზე მოიხილება რაიმე ისტორიული, თუ სხვა რამ შინაარსისა.

ასეთი სამკითხველოს დაარსების საჭიროებას შემდეგი პირობები მოითხოვს: კარგად ვიცით, რომ იმრეთა ძენი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მრავლად სწავლობენ. ხშირად მათ სწავლის დასრულებისას, თემად აღძვევენ ისეთი დისერტაციების დაწერას, რაც კი ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ენას, მწერლობას, კულტურასა ძველსა და ახალს ცხოვრებას შეეხება.

ასეთი დისერტაციის მაღლების შესაკრებლად საჭიროა, წიგნები, მასალები და სხვადასხვა წყარო, მაგრამ კაცი მათ ვერსა ვერ ნახავს, ისევე და ისევე მან თბილისში უნდა ამოყოს თავი და აქ სძებნოს თავისი საჭირო ცნობები. ძალიან ხშირად, თითქმის ყოველთვის და ახლაც, მოსულან ხოლმე ჩემთან იმერეთიდან თბილისში ჩამოსული იმერელი სტუდენტები და სხვადასხვა მასალის ცნობები უკითხავ თვის დისერტაციის შესახებ დასაწერათ. როგორც შემძლება, ისე მოთხოვნილია, მიჩვენებია, თუ სადრა წყაროები შეიძლება მოიპოვოს. თბილისის სამკითხველოში ყველა საჭირო მასალის გაცნობა ხანგრძლივ დროს ითხოვს, რადგანაც სამკითხველოში განსაზღვრულ დროს შეიძლება მუშაობა, სახლში წიგნებს არავის ატანენ და ამ გვართ ქუთაისიდან ჩამოსულ სტუდენტს მთელი თვეები უნდა ამ მასალების გაცნობასათვის, რაც, რასაკვირველია, მათთვის დიდ ხარჯს იწვევს და ვალებში აგდება მათ.

ასეთს გარემოებაში მყოფნი ხშირად მიწახვას მე და კიდევაც ვნახავ. მოწამე ვერ იმ ფაქტისა, რომ ზოგიერთებს დღიურ საქმელისათვის საათი და ტანისამოსიც კი გაუყიდნიან და ბუკანისტიანთაგან მიუყიდნიან და ამ გზით აღებული წვლილით უკვებავს თავი და თან მასალები უკრავებია. აქ მე გადაჭარბებულად არას ვამბობ და, მგონი, ეს ყველამ არსებულ ფაქტით უნდა მიიჩნიოს.

ყოფილა ისეთი მაგალითებიც, რომ ზოგიერთი სტუდენტი სამჯერ

ოთხჯერ ჩამოსულა თბილისში და მისი სამეცნიერო შრომა მასისხლათ დედამია მას.

ამ გარემოებას საისტორიო საერთოგრაფიო საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს. ქართული ნაციონალური სამკითხველოს დაარსება ქუთაისში, სადაც მოკრებილი იქნება ყველა ის წიგნი და მასალები, რაც კი ქართველი ერის ცხოვრებას შეეხება, დიდ დახმარებასა და საღვათს მისცემს ქართველ მოსწავლეს ახალგაზრდას კვლევა ძიების საქმეში. ასეთი სამკითხველოს დაარსება ბევრ მოსწავლეს გაუადვილებს მასალების ძებნის საქმეს, არც იმერეთიდან თვალისში ჩამოსვლა დასჭარბდება და ზედმეტი ხარჯისაგანაც გათავისუფლებული იქნებიან.

რაც შეეხება იმას, შესაძლებელია თუ არა ასეთი სამკითხველოს დაარსება ქუთაისში, ან შეიძლება თუ არა საჭირო წიგნების შეძენა, უნდა დავსძინო, რომ ამის მაგალითს იძლევა თბილისში ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოება. საქმე მოწადინებაა, თორემ ყველაფერი ადვილად შეიძლება გაკეთდეს. ამ საქმეს ბევრი თანამგზავნი გამოუჩნდება და თავის წილისაგან არ დაიშურებს ამ ფრიად სიმპატიურ საქმისთვის. ასევე იყო თბილისშიაც ამ საზოგადოების პირველად დაარსების დროს, მაგრამ მონდომებამ, მეცადინობამ ყველაფერი მოაწყო და საქმეც კეთილად დაავიჯივრებინა. მართა მე მიყვიდე საზოგადოებას 500 ხელთაწერი და 100 დაბეჭდილი წიგნი. ამით ჩაეყარა ბიბლიოთეკის საძირკველი. შემდეგ წლებშიაც არ მოვაკლე ჩემი ზრუნვა და სხვა და სხვა დროს შევსძინე 200 ხელთაწერი და 1000 მდი დაბეჭდილი წიგნი.

საძირკველის ჩაყრის შემდეგ გამოჩნდნ სხვა პატივის მცემელიც, მაგ., ხსენებულ სამკითხველოს შესწირეს წიგნები შემდეგმა პირებმა; აკადემიკოს მარი ბროსეს შვილმა განსვენებულის, სამკითხველო მთლად საზოგადოებას შესწირა ასევე შესწირეს. პროფესორ დავით ჩუბინაშვილის წიგნები.

ნიკ. დადიანმა სამეგრელოდან შესწირა თავიანთი საგვარეულოს მდიდარი სამკითხველო ქართულის ძველის წიგნების;

შემდეგ ამავე სამკითხველოს ანდერძით დაუტოვეს თავისი წიგნების მდიდარი კოლექცია, სხვადასხვა ენებზე დაბეჭდილი ისტორიკოსარქეოლოგმა დიმიტრი ზაქარაძემ ბაქრადემ ქართველმა მოღვაწემ მწერალმა პეტრე იოსების ძემ უმიკაშვილმა, დავით აბესაძემ ორბელიანთ მოურავმა და მრავალმა სხვამ რომელთა მოთვალაც აქ საჭირო არ არის ზოგიერთი ფულს და სხვადასხვა ნივთსაც სწირავდნ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქუთაისში ასეთ საგვარტომო სამკითხველოს დაარსებას ყველა სიამოვნებით შეედავს, ყველა თანაგრძნობით მოეკიდება და, იმედო,

სხვადასხვა წიგნის შეწირველიც გაჩნდებიან და მასთან მათი რიცხვიც დღე-ღამე გამრავლდება. რამდენიმე წლის განმავლობაში ქუთაისში მოეწყობა და დაფუძნდება კარგი სამკვიდრო სათვისტომო სამკითხველო.

სრულა იმედი მაქვს, რომ ჩემი წინადადება უყურადღებოთ არ იქნება დატოვებული. **ზ. ჭ.**

წერილი ლაშქარშიდან.

(ლაილაში).

წასულ ივლისს 25-ს. ლაილაში მოვიდა ონის ებრაელების რაზმი ბ. დავით ბაზოვი, რომელმაც ადგილობრივ ებრაელთა სალოცავში, მოიწვია ადგილობრივი ებრაელობა, რადგან, ქართველ ებრაელობაში ბატონ ბაზოვი დიდი სიმპატია აქვს მოხვეჭილი, ყველას მოწიწებით სურდა გაეგო მისი აზრი ებრაელთა ცხოვრების შესახებ. ბ. ბაზოვი მიმართა ხალხს შემდეგის სიტყვებით: „მე მოვედი თქვენთან, თანახმად ჩემს მოვალეობისა და უწინარეს ყოველისა მსურს მომაგონოთ დღევანდელი ცხოვრების სირთულე და უმავალი-თო ომი და მისგან გამოწვეული უბედურება, რომელიც თავს დასტყნია მთელს კაცობრიობას.“

რა დროსია, ბატონებო, სთქვა ბ. ბაზოვი მშვიდი ძალი, მოსვენება ქეიფი და დროსტარება, როცა მთელი კაცობრიობა განსაცდელშია, როცა მთელი ზღვა უმანკო სისხლით იღვრება, მთელი მინდორ ველები ჩვენი მოძმის ძვლებით ივსება, განა ახლა შე ძიება სულის სიმშვიდე და შენს თავზე ზრუნვა ანუ ფიქრი? ხომ ხედავთ მთელი საუკუნეებით ნაჭირნახულევი კაცობრიობას ხელიდგან ეცლებო, ინგრევა და იწვის, ქარხნები ზავოდები, ფაბრიკები, მლაზიები და ბანკები, ერთის სიტყვით, მთელი ცხოვრების მექანიზმი ირყევა; რაც დღემდე უმშენიერესს შეადგენდა, დღეს მტერათ იქცა, ცეცხლის აღმა შთანთქა; ვინაც დღემდე სხვებს პატრონობდა და ათასობით მოწყალეობას სწირავდა ღარიბთა და უქნელთა სასარგებლოთ. დღეს თვითონ ცას ქვეშ ულუკმო პურით კვდება, უსახლკაროთ ყრან ყოველ ყოფას მოწყვეტილი, და სწორედ, ძმებო, საჭიროა ახლა მოვიკრიბოთ ყოველი გვარა ძაღლანე, ავშაღდეთ ზნობრივად, ვიკაროთ ძილი, მივბაძოთ ჩვენს მოძვე ქართველებს, როგორ ეხმარებიან ომი-საგან დაზარალებულ ჰაქარლებს, ამოვუდგეთ გვერდში მათ და დავეხმაროთ, ვინც ღირსია დახმარებისა და ესპოროება კიდევ:

თუ დღემდის ვერ შეგვიგნია ჩვენი მოვალეობა ქართველ ებრაელებს დღეს ამ განსაცთელმა მაინც შეგვაგნებინოს, თორემ სინანული გვიანდა იქნება.

მართალია, დღემდის ცოტა თუ ბევრად გვიფარავდა მდიდარე დიდ ბუნებოვანი საქართველო მისი კალთის ქვეშ და არაფერიც არ გავიგია ჩვენი ნაკულუოვნებისა, მაგრამ ეს ყოველივე გახლდათ მოწყალეობა იმ მშვენიერი მოწყალე ერისა, რომელსაც ეწოდება „ქართველი ერი“ და აგრეთვე გახლდნ ის პო-

ლონელი ებრაელები, რომელნიც დღეს შეიქნენ უღანაშაულო მსხვერპლნი მსოფლიო ომისა.

სწორედ თუ ქართველი ერი გვიფარავდა თავის ღვაწებრივ კეთილი ზნობით და კეთილის ხასიათით, აგრეთვე ხმაღ ამოღებული დღე და ღამ გვდარაჯობდა პოლონელი ებრაელობა, თორემ, გარწმუნებთ, თუ ახლოს ვერ მოგვსწდებოდა რუსეთის შავრაზმელი მარკოვ პურეშკევიჩები, თავისი მოწამული შხამიანი ენის ბრკყალებით, შორიდანაც დაგვჩხავებდა და მათის ჩხვილით ჩვენ კი არა, ვგონებ, სალკლდე-საც დაანგრევდნ და ამ გვართ ჩვენი ყუდრო ცხოვრებაც შეირყოდა. მაგრამ პოლონელი ებრაელები მუდამ დროს გვდარაჯობდნ, რომ მათ ბრკყალებს არ დავებურჩეთ მოიგონეთ ბეილისი და მრავალი ასეთი. რომ ასეთ დროს პოლონელი ებრაელები არ გვეყოლოდა მფარველ ბატონთან, განა გვიშველიდა მეწვრილმან მეზობეობა? მოიგონეთ გერცენ შტეინი, ვისთვის ან ვისთვის დაანთხიეს მისი უმანკო სისხლი. მოიგონეთ ვინაჩიან დღეს სახელმწიფო სათათბიროში, რომ ასე თავ გამოდებით იცავენ, ებრაელთა ინტერესებს ყოველგან და ყოველ-ვის. პოლონელი ებრაელობა, ზრდიდა შვილებს, რომ მათ დაეცვათ ჩვენი ინტერესები, ყოველგან და ყოველთვის გვიფარავდნ უსამართლობისაგან, და ჩვენ ქართველ ებრაელები არა თუ, უმაღლილით მათ, არამედ, არც კი ვხდებოდით, არც კი გვესმოდა მეტ ნაწილს და დღეს, ბატონებო „ასეთა ხალხი“ ისრისება, ისპობა, ბრძოლის ველათ გადიქა მათი ყოფა ცხოვრება, მათ ბალებსა და სასახლებში მტრის ცხენები ბუნავობენ, მათს ქარხანა ზავოდებში მტრის ფარეშები პარაპობენ მთელი ცხოვრება მტერათ ექცათ, ცეცხლის აღმა შთანთქა. თუ დღემდის სხვას პატრონობდნ და იფარავდნ, დღეს უზო-უკვალოთ დახეტიალობენ, თავისი ყოფა ცხოვრება დასტოვეს და ათასობით და ათათასობით გარბიან შიდა რუსეთის გუბერნიებში უპატრონოთ; ამისათვის,

ბატონებო, უკვე შენდა სხვართა გარდა განსაკუთრებული კომიტეტი უმაღლესი უწინარესი ქართული, და ყოველის მხრიდან იგზავნება მათს სახლში შეკრავილი შემწეობა. ყველა შეწირულობა დიდი მადლობით იქნება მიღებული.

ამისთვის, ბატონებო, დაამთავრა ბ. ბაზოვი, მოგმართავთ თქვენც მიიღოთ მონაწილეობა და თქვენი წვლილი გამოიღოთ, რომ პოლონელ ებრაელობას, ვინაც კი სიკვდილს დააღწია თავი, შიმშილით სიკვდილი მაინც არ ხვდეს წილათ.

ქართველი ებრაელებიო—სთქვა ბაზოვი, ხწორეთ საცოდავი ხალხი ვართ: არა გვაქვს არა ვითარი ორგანიზაცია, არა გვყავს ერთი კაცი, რომ ჩვენს მაგიერ სიტყვა სთქვას ან დასწეროს რამეო, ამისათვის დაუყურებლივ საჭიროა შევიგნოთ ჩვენი შეცთომები შევისწავლოთ ლიტერატურა, ვიცნოთ მტერი და მოყვარე, მტერს მტრობა გავუწიოთ და მოყვარეს კი მოყვრობაო. იმ ხალხთან, რომელშიაც განუყრელი ვართ ქარსა და ღბინში ყოველგვარი მონაწილეობა მივიღოთ შეძლებისა და გვართ აღვზარდოთ შვილები; გვეყო უკან ჩამორჩენა გვეყო უსწავლელობა საჭიროა სწავლა განათლებაო. დაეიარსოთ ადგილობრივი სასწავლებლები, მოვაწყუთ საურთიერთო დახმარე კასებიო, მოვაწყუთ სამეურნეო და სასახელოსნო შკოლები და ამით აღარც ჩვენს მოძვე ქართველებს ჩამოვჩხვებით და არც მათი ხელთ სათრევი ვიქნებითო; ამ სიტყვებით დაასრულა ბაზოვი თავის ვრცელი სიტყვა.

ბ. ბაზოვის წინადადება ერთხმად მიღებულ იყო და კიდევ შეგროვდა 200 მანეთადი პოლონელ ებრაელთა დასახმარებლოთ. ფული ამ დღეებში გაიგზავნება, სადაც ჯერ არს.

ა. ებრაელიძე.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

ძმათა უორყოლოაძეების ზღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

— მიღებულია დიდძალი —

საპნის გასაქმებელი „სოლა“

აქვე იყიდება ეოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფესები ეველასეიდ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

თ. მთავრიშვილის და ახ.
წიგნისა და საკანცელარიო მალაზიას ახა 1915/16 სასწავლო წლ. დაგზადებული ახვს ჟოგელნიანი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის შტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება სახმადგომლო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.

თე.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.